საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

№ 6947
25 03 2022
2/ст-31

ქალბატონო ნინო,

სამინისტროს მიმდინარე წლის 25 მარტის N2959/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე შპს „ბი ბი"-ს ლურჯი მოცვის ბაღის გაშენების მიზნით დაგეგმილი სამელიოროაციო სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას გაცნობებთ:

- ზემოაღნიშნული წერილით დადგენილ პირველ ხარვეზთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც ეხება საპროექტო წყლის რეზერვუარის განთავსების ადგილზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არსებობისა და მისი მოხსნის, დასაწყობებისა და შემდგომი გამოყენების საკითხს, ამასთან რეზერვუარის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების პროცესში ექსკავირებული გრუნტის სტატუსის და შემდგომი მართვის საკითხებს, მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია უკვე მოცემულია სკრინინგის ანგარიშის თავში - N9.5. შეგახსენებთ, რომ კომპანია ბაღის გაშენებას და სამელიორაციო სისტემის მოწყობას გეგმავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე, რომლის სრულ ფართობზე, მათ შორის რეზერვუარის განთავსების ადგილას წარმოდგენილია ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. როგორც უკვე წარმოდგენილ სკრინინგის დოკუმენტაციაში წერია, საქმიანობა გულისხმობს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დამუშავებას, კერძოდ კი მის მოხვნას. რეზერვუარის მოწყობის დროს ამოღებული მიწის მასა, მათ შორის ნიადაგიც განთავსებული იქნება ტერიტორიაზე და გამოყენებული იქნება მიწის დამუშავების პროცესში;
- მიუხედავად იმისა, რომ სკრინინგის ანგარიშში მეორე შენიშვნით მოთხოვნილი ინფორმაციაც იყო ასახული, განვმეორდებით, რომ სამშენებლო სამუშაოები იქნება მარტივი ხასიათის, რადგან შენობა წარმოადგენს მარტივ კონსტრუქციას და არ საჭიროებს საძირკვლის მომზადებას. არ იქნება ჩატარებული მიწის სამუშაოები და შესაბამისად რაიმე სახის ზემოქმედებას ამ კუთხით ადგილი არ ექნება ნიადაგზე. რაც შეეხება შენობის ფართობს, ეს გადაწყდება უშუალოდ პროექტირების ეტაპზე, თუმცა სავარაუდო ფართობი არის 100 -200მ^2. დანარჩენი ფართობი 0,3 ჰა-დან გამოყენებული იქნება საოფისე შენობის ეზოსთვის, რომელსაც დასაქმებულები გამოიყენებენ მოსასვენებლად. აქვე დავამატებთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირვანდელ სკრინინგის დოკუმენტშიც იკითხებოდა ანალოგიური ინფორმაცია საოფისე შენობის ტიპის თაობაზე, სამინისტროს მიმდინარე წლის 23 თებერვლის N 1728/01 ხარვეზში ამის თაობაზე ინფორმაცია მოთხოვნილი არ იყო.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაცია, განაახლოთ ადმინისტრაციული წარმოება და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება სკრინინგის დოკუმენტაციაზე, რომელიც წარმოდგენილია .,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' **II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით და გულისხმობს სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.**

პატივისცემით,

შპს „ბი ბი"-ს საოპერაციო დირექტორი

დავით ბიწაძე